№ 183 31 აგვისტო, კვირა. 1866—1880 31 აგვისტო კვირა. № 183.

ტფილის


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, ქარვასლის თავში მარცხნივ თ. ლორის-მელიქოვის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

აქ: „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე ქალაქებისათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроеба“ - „Иверія“.

„დროება“—„ივერიას“ ღირს

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოების სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.



1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი


# ტელეგრამმები

(საერთაშორის სააგენტოსი)

**პარიჟი**, 27 აგვისტოს. უმთავრესი სახელმწიფოები დათანხმდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ზღვის დემონსტრაცია მოახდინონ. საფრანგეთის სამს ხომალდს ბრძანება მოუვიდა დღეს, რომ რაგუზისაკენ წავიდნენ.

**ხარკოვი**, 27 აგვისტოს. ხარკოვის პირველი ურთი-ერთ კრედიტის საზოგადოება (ბანკი) გაკოტრდა; ამ ბანკში შეტანილ ფულს აღარავის აღარ უბრუნებენ. დიდ-ძალი ფული აკლია. ბანკის კასსირმა ლაფრენკომ 200,000 მანეთი მოიტაცა.

## პეტერბურღის ბირჟა, 5 აგვისტოს.

(„საერთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 94 | 12 |
| მეორესი | 92 | 50 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 92 | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 91 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 | 25 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 85 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 221 | 50 |
| მეორე სესხის | 219 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 08 | პენსი |
| ჰამბურღი | 214 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 264 | 50 | სანტიმი |
| ვენა | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## ფულის სიძვირე

ტფილისი, 30 აგვისტოს.

არასოდეს არ ყოფილა ჩვენში იმდენი ფული, რამდენიც ახლა არის, გასულ ომიანობის შემდეგ; მაგრამ, მეორეს მხრით, არასოდეს არ ყოფილა ჩვენში არც ისეთი სიძვირე ფულისა, როგორც ახლა არის.

ომიანობის წყალობით ფული, მართალია, ბლომად დარჩა ჩვენს ქვეყანაში; მაგრამ ეს ფული თანასწორად კი არ არის მთელს ხალხში განაწილებული, არამედ ის ჩაუვარდა ხელში რამდენსამე პირს და დანარჩენ ხალხს კი გასულმა ომმა მუშა-ხელის მოკლებისა, ნამუშევრის მოკლებისა და სიღარიბის მეტი თითქმის არა მოუტანა-რა.

მეორე მიზეზი ფულის სიძვირისა არის კიდევ შარშანდელი ცუდი მოუსავლიანი წელიწადი, როდესაც, საზარელის ზამთრისა და კალიის წყალობით, ხალხი და საქონელი უსაჭმლოთ დარჩა და ხორაგეული, საკვები და სხვა ყველაფერი ფულით სასყიდლად შეექნა.

ის რამდენიმე პირი, რომელთაც ფული აქვსთ ამ ჟამად ხელში, კარგათ სარგებლობენ ხალხის გაჭირებითა და ფულის სიძვირით: ადრე ჩვენში თუმანში ორ-შაურ ზევით სარგებელი თითქმის არ გაგონილა, ნამეტურ თუ ცოტაც არის საიმედო თავდები ან გირაო ექმნებოდა სესხის ამღებს. ახლა კი თუმანში სამ-შაურს, აბაზს, ექვს შაურს და ხან მეტსაც თხოულობენ და კიდევ მაინც ჩნდება გაჭირებული ხალხი, რომელიც ძალა-უნებურად აძლევს ამ ურიის სარგებელს და სესხულობს ფულს.

უეჭველია, რომ ამ გარემოებამ დაბადა ჩვენს ქალაქში ამდენი ფულის გამცემი, გამსესხებელი კანტორები, ბიუროები და სხვა ამ გვარი დაწესებანი. არც-ერთი წარმოება, არც-ერთი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა არ არის ისეთი სასარგებლო, ისეთი ნაღდი შემოსავლის მომცემი, როგორც ფულის გასესხება.

ჩვენი ბანკები 8—9 სარგებელს იღებენ წელიწადში. მაგრამ ამ ბანკებიდამ ისე ძნელია ფულის გამოტანა და ასს მსურველში ერთი დიდის გაჭირებით ეღირსება. უფრო მსხვილი ვაჭარი ხალხი სარგებლობს ბანკებიდამ.

წვრილი ვაჭარი ხალხი და აგრეთვე სხვები, ვისაც კი ფული ეჭირება (და ვის არ ეჭირება ახლანდელ დროში ფული?), თ. ივ. მუხრანსკის, ბ. ქასუმოვის და სხვა ამგვარ კანტორებში მიდიან ფულის სასესხებლად. აქ,

---

დროების ფელეტონი, 28 აგვ.

## დუდუკი.

### „ზზიკი“

სადილს შემდეგ საკითხავი გაზეთი

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის, სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევის, შაბათის და კვირის გარდა.

ხელის მოწერა მიიღება შეითან-ბაზარში და აშუაშხანაში, ბ. ჩაჩუაშვს კანტორაში.

ფასი გაზეთისა — თავიდან ბოლომდის ყურადღებით წაკითხვა ყველა ნომრისა.

რედაქტორი და გამომცემელი

ჩაჩუაშვე.

ჩაჩუაშვეს მიმოხილვა

(მოწინავე სტატია, წერილი რედაქტორთან, რეცენზია, „ზზიკის“ კორრესპონდენცია — სულ ერთათ).

აი ბედნიერება, აი კეთილ დღეობა, სიხარული, სიამოვნება, დროს გატარება, ალტაცება, გრძნობის გამოთქმა.... ჭკუიდამ შეშლა, სისულელე, უაზრობა!...

— რა ამბავია? რა ამბავია? — რაღა რა ამბავია — ოპერა, ოპერა და კვალად ოპერა! პავლოვსკის ცოლის ნეტარი სიმღერა და ლოდის გარეგანი შეხედულობა! რა ამბავია, თქვენი ჭირიმეთ!! ხალხი შეინძრა, გამოფხიზლდა! არიქათ! ლოჟები, კრესლები, სკამები, ბილეთები, პავლოვსკის ცოლი, ლოდი — სულ აირივნენ ერთმანეთში!

ქალებს უყურეთ, ქალებს! სიხარულით სულ ერთიანათ დაალევა, კბილებს აკრაჭუნებენ მოუთმენლობით; გული ადის და დადის; აბა ჩქარა თეატრში! ვინ წინა და ვინ უკანა!... ხვევნა-კოცნა, გრძნობიერი სიტყვების გამოთქმა, მიწურულის ხმით სიყვარულის განცხადება, გადაშიშვლებული მკლავები აქტრისებისა, ლოდის პრანჭვა და გრეხა ჩვენი მგრძნობიარე ქალებისთვის; მეტადრე როცა მოქმედ პირებს აცვიათ ფრანციცული ხორცზე გადატკეცილი შესამოსი...

ნუ თუ ყველა ეს არ მიიტაცებს ჩვენს ახალ გაზდებს, რომელნიც სულ გაკმენდილი სხედან და მშიერი მელებივით აწკაპუნებენ კბილებს მეტის-მეტათ გრძნობაში მოსულნი?!

მე, ვსთქვათ, ახალ-გაზდობაში სისუსტე არის; მაგრამ ბებრებიც რომ სულ წინ იბრძვიან, მიიწევიან ოპერაში სიბერის დროს სულ წასაწყმენდი სურათების სანახავათ!! აი დიდება შენთვის ღმერთო! სწორეთ გადაირია ამოდენა ხალხი! წარმოიდგინე, ჩემო მკითხველო, მოხუცებულები, რომელთაც უფათერაკოთ ცხვირის დაცემინებაც კი არ შეუძლიანთ, ისინიც კი თავ-პირის მტვრევით მირბიან ოპერაში!... ერთი კაცმა ჰკითხოს: რომ მიაჭენებთ, სად მიაჭენებთ?! რა დაგჩენია ოპერაში? რა „შენდობის მოწმობეებს“ იქ ურიგებენ, რომ ამ სიბერის დროს აგრე თავ-პირის მტვრევით გარბიხარ?!

ვაი შენ ჩემო თავო, რა დროს მოევსწარით!... ძლივს თავი გადავარჩინეთ ხორავეულის სიძვირეს და სული მოვიბრუნეთ; მაგრამ დახედე, რომ უფრო უარეს სიძვირეს შევესწარით — ჭკუის სიძვირეს!...

აი დაიწყო წარმოდგენა. ხალხი სულ-გაკმენდილი უცდის, პირველათ ვინ გამოვა. სიჩუმე, ბუზის ფრენაც ისმის! ლოჟებიდგან ზარბაზნებივით გაუშვერიათ სცენისკენ დურბინდები. ქალები მთლათ დაწკეპილან; ყურები დაუცქვეტიათ, თვალები გრძნობის ელვით უბრჭყვინავთ, სული ვაუკმენდიათ და სწორეთ ჩახმახებივითა სხედან! ოდნავ რომ ხელი წაჰკრათ, შენი მტერი, რა ნაპერწკლები გასცვივათ ამ მარმარილოს ანდრიანტებს...

არიქათ, პავლოვსკის ცოლი მოდის! ტაშ! ტაშ!... პირია მონასტერი და ქუხილივით ტაშის-ცემა ასტყდა!... ხალხი დაწყნარდა. მოქმედი პირი იმღერს, სულს ლევს, იმანჭება, თვალებს ნაზათ ხუჭავს, გრძნობიერ სიმღერასთან გულსაც თან აყოლებს, მკლავებს კვანწავს, ტანს ნაზათ ჰხრის. (ქალებო, დააკვირდით, ცხოვრებაში გამოსადეგია; ეგეთი თვალთ-მაქცობით, ყინულის გულიც რომ ჰქონდეს, კაცს გადარევთ!) ხალხი დნება, გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ალტაცებაშია! (ხიმღერით კი არა, ცოცხალი სურათის ცქერით! აბა სიმღერა ვის რათ უნდათ, ან რა გაეგებათ, კარგათ მღერის თუ ავათ!)

ოჰო! ეხლა კი გაზხედ! ზანზედ! ქალებო, ლოდი! საკუთარი თქვენი გულის ლოდი!. შეხედეთ, როგორ ვაჟ-კაცურად მოაბიჯებს, რა მშვენიერათა ხმარობს მარჯვენა ფეხს! რა პატარა ფეხები აქვს, ყვითელი წუღები აცვია, თეთრი ჩულქები, ხავერდის შარვალი... ბროლის კისერი, თეთრი ფუჩფუჩა ნიკაპი... პოხტა წითელი (ხახამა ურიასავით) წვერები!...

— სონაჯან, რა ლამაზი ყურები აქვს!

— ლიზა! რა ეშხიანი თვალ-წარბი აქვს!

— მაშა, რა თეთრი შუბლი აქვს!.

— გენაცვალე, მაკალო, ცხვირიც ჰქონია! რა მშვენიერი ცხვირის ნესტოები აქვს!...

რაღა დაგრჩათ, ქალებო? მაგრამ რაღა უნდა დარჩენილიყო: რაც ასახსნელი იყო, ახსენით, და რაც ახსნილია, იმას რაღა ახსნა ეჭირვება!...

ამ კანტორებში, მართალია, სარგებელს კარგა ბლომად ახდევინებენ, (ქასუმოვის კანტორა წლის სარგებელს 15-მდინ ახდევინებს, მუხრანსკის კი ოცამდინ), მაგრამ მაგივრად სესხის აღება ერთი-ორად უფრო გაადვილებულია, ვინემ ბანკებში და კერძო პირებისაგან.

თუმცა ადვილად აძლევენ ესენი სესხს, მაგრამ თავის ფულს ათასში ერთხელად არ კარგვენ და სარგებლობა კი, უეჭველია, დიდ ძალი უნდა ჰქონდესთ. არ კარგვენ იმიტომ, რომ ან სანდო თავდები ჰყავსთ და ანუ სხვა რამე გირაო, რომელიც ერთი-ორად აუდის გატანილ სესხის ჯამს.

რასაკვირველია თუ არ ძალიან გაჭირვებული კაცი ამ გვარ კანტორებს თავის დღეში არ მიმართავს; არ მიმართავს განსაკუთრებით ვაჭარი, რადგან, თუ ძალიან მარჯვე და სწრაფი ვაჭრობა არა აქვს, ვერასოდეს ვერ ამოიგებს ამათგან ნასესხების ფულის ვაჭრობით იმდენ სარგებელს, რომ სესხის ამდენი სარგებელიც გადაიხადოს და იმდენიც დარჩეს რომ თვითონაც რამ ხეირი ნახოს.

ეტყობა, ძალიან ბევრი გაჭირვებულები უნდა იყვნენ ქალაქში, თუ თ. მუხრანსკისა და ქასუმოვის კანტორა არსებობენ და არა თუ არსებობენ, იმდენი მუშტარიცა ჰყავსთ, რომ მესამედსაც ვერ აუდიან.

მაგრამ მუხრანსკისა და ქასუმოვის კანტორების შემ ვიწროებული პირობანი და დიდი სარგებელი თითქმის არაფრად ჩავარდება იმ პირობებთან და სარგებელთან, რომლითაც აძლევს ფულს ახლად გახსნილი კანტორა ბ. მერაბ პორლანოვისა და იმის ამხანაგებისა: ეს კანტორა წელიწადში თუმანზე ექვს შაურს ახდევინებს სარგებელს, სესხს ნახევარ წლობით აძლევს და მთელი ნახევარ წლის სარგებელს სესხის მიცემისათანავე თხოულობს; ამასთანავე ვალი მუდამ თვეობით ან კვირაობით უნდა გარდაიხადო ასე, რომ, რო ვიანგარიშოთ, 30% კი არა, 35%-ზე მეტი მოდის წლის სარგებელი!

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ბ. მ. პორლანოვის კანტორიდამ ვალის აღებისათვის საჭიროა ან ისეთი თავდები გყავდეს, რომელსაც რაიმე უძრავი მამული აქვს ქალაქში ან ქალაქს გარეთ, და ან უნდა მისცე კანტორის მობარებულის ბარათი („სახრანაია რასპისკა“), რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ვსთქვათ ორასი მანეთი აიღე ამ კანტორიდამ ვალად; აძლევ ქაღალდს, რომ შენ მოგაბარა კანტორამ ესა და ეს ნივთები ან სხვა რამ სამას ოთხასის ან მეტის მანეთის ღირებული და მოთხოვნისათანავე ვალდებული ხარ ჩააბარო. თუ გაგიწყრა ღმერთი და თავის დროზე ვერ გარდაუხადე კანტორას ვალად აღებული 200 მან., მაშინ ის წარადგენს შენგან მიცემულ მიბარების ბარათს და სრული უფლება აქვს რომ იმ ვითომ მიბარებულ ნივთების ფასიც გარდაგახდევინოს და სისხლის სამართალშიაც მიგცეს, ვითარცა სხვის ქონების გამფანტავი!

როგორ გაჭირვებული უნდა იყოს ხალხი, რომ ამისთანა კანტორასაც კი მუშტარი ჰყავდეს.

ჩვენ გვაკვირვებს, რომ არც მთავრობა, არც ქალაქის გამგეობა და არც პოლიცია ამ გვარ დღის სინათლეში ხალხის ცარცვას არავითარ ყურადღებას არ აქცევს!...

შემდეგ ნომერში ორიოდე სიტყვას ვიტყვით იმაზე თუ როგორ შეიძლება ამ გვარ ხალხის კლანჭებისაგან დახსნა თუ არა, ბედის შემსუბუქება მაინც ჩვენის ქალაქის გაჭირვებულ მცხოვრებლებისა.

## ახალი ამბები

—

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა, რომლისთვისაც მიგვიქცევია, ვისიც ჯერ არს, იმათი ყურადღება:

„მუდამ საღამოთ ალექსანდროვის ბაღში დაიარება ოთხი ქალი, რომელთაც თავიანთ საცხოვრებლად და ხელობად უნამუსო ქცევა ამოურჩევიათ. ვერ შეგიძლიათ [illegible] ნოთ რიცხვი იმ ახალგაზდებისა, რომელნიც ამ ხსენებულ ქალების წყალობით, საძაგელის სენით ლპებიან.

„ერთმა ამ ქალთაგანმა, რომლისგანაც ავათ გახდომა ერთმა გიმნაზიელმა მიამბო, და რომელსაც განგებ გამოვკითხე, მითხრა მე შემდეგი:

„— ჩვენ ისეთს ქუჩაში ვდგევართ, რომ არამც თუ პოლიცია, ეშმაკიც ვერ გვიპოვნის; და თუნდაც რომ გვიპოვნოს პოლიციამ, თვითონ პოლიციმეისტერი ხომ არ მოვა ჩვენთან და იმას აკოლოდოჩნიკების წამალი ჩვენ ვიცით, როგორც თავიდამ მოვიშოროთ...

„ამ ქალებს ბილეთი არა აქვსთ, ქალაქის ექიმი ამათთან შესამოწმებლად არ დაიარება, მაშასადამე რამდენის გაუბედურება შეუძლიანთ, თქვენ მიხვდებით...“

* * *

4 აპრილის სახსოვრად თფილისის მოქალაქეთაგან გახსნილის საავათმყოფოს გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ენკენისთვის პირველიდამ ამ საავათმყოფოში ავათმყოფებს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

* * *

მეტეხის ციხის ბიბლიოთეკისათვის მივიღეთ ჩვენ ბ. იოსებ დავიდოვისაგან შეწირული იმისივე ლექსები, სახელად „სტვირი“ ოთხი ეგზემპლიარი.

* * *

---

დღეს თქვენი ლოდი, ქალებო, უძრავათ და მეტათ სასიამოვნო სანახავია ის ამ მდგომარეობაში! ნეტავი მართლა და თქვენის სიცოცხლით ხმას არ ამოიღებდეს და ეგრე სულგაკმენდილი იდგეს, თორემ დავთრებს სულ დაგიკარგავთ იმის მშვენიერი (ხრინწიანი, ძალდატანებული, ულაზათო) სიმღერა!... მაგრამ თავისას არ იშლის, მღერის!... ვაი ჩვენ ცოდვას! ვაი თქვენს ლოდის! მოგიკვდეს, ლოდივ, თაყვანის მცემლები, ეგ რა მოგივიდა? არაფერი! არაფერი, ქანყრატში რაღაც გაეჩხირა!—ახლა რა ექნათ, რომ გაეჩხირა?—სანახავათ მოვიდნენ და არა სიმღერის გასაგონათ!....

პაოლოვსკის ცოლმა გაათავა თავის მშვენიერი სიმღერა! მრავალი ტაშის კვრა მიიღო! გამოვიდნენ აგრეთვე სხვა აქტიორ-აქტრისებიც და სრულიად დააკმაყოფილეს ჩვენი ხალხი! რით დააკმაყოფილეს, სიმღერით თუ სხვა რამით არ ვიცი! ორ საათამდის კი აფხიზლეს და! ახლა თქვენ ჰკითხეთ, ვინ როგორ მღეროდა? მაგრამ სიმღერისთვის ხომ არავინ მოვიდა, ტიტველა ხალხის სანახავათ მოვიდნენ! მაშ ორ საათამდის რითი გაეტარებინათ დრო?!.

ახლა თქვენ უყურეთ, იმ ღამეს ოპერაში ნამყოფი ხალხი რა სასიამოვნო სიზმრებს ნახავდნენ!.. ქალებს თვალ-წინ უდგათ განსპეტაკებული აქტრისები თავის ფუნჩულა, თეთრი გადაშიშვლებული მკლავებით, ბლომა პუდრ-წაყრილი გულ-მკერდით. ქალებს რაღა უდგათ წინ?—ლოდის ყურები!.. მარტო ყურები რა გახდა? მაგ თითონ იციან, რაც ვახდა: საქმე ხელის წასავლებია; რა კი ყურში ხელს სტაცებენ, დაიმონავებენ კიდეც!.. მაგრამ დაწვრილებით ამ გვარი სიზრმის ახსნა, გთხოვთ, თითონ ქალებს ჰკითხოთ!..

აი რისთვის დადის უმეტესი ნაწილი ჩვენის ხალხისა ოპერებში! თორემ მუზიკის გარჩევა და სიმღერის სიტკბოება რა იმათი საკადრისია! ამ შემთხვევაში იოსებიძის ცხენს უფრო ბევრი ესმის, სანამ ამათ!.. რაღა გავაგრძელო, ჩვენი ქალაქი მიხედულობით სცხოვრობს და ცოცხლობს; მაგრამ საქმე იმაშია, რომ, საუბედუროთ, ცუდი მხრისკენ უფრო აქვთ ჩვენ ქალაქელებს მიხედულობა, ვიდრე კარგი მხრისკენ!..

ახლა მართლა კი არ იფიქროთ, რომ ჩვენს ხალხს არა გაეგება-რა ოპერისა! ასეთი დამფასებლები გამოჩნდენ ხმებისა და სცენაზე თამაშობისა, რომ რაღა მოგახსენოთ! სპეციალური დანიშნულება ამ ხალხისა არის დამტკიცება იმისა, რომ ინდაურები და მამლები ნოტებზედ მღერიანო და საშინლად გახსნილი აქვთ მუზიკალური სმენაო! მეც მთლათ ვეთანხმები, რომ ბულბული და იადონი არ დაასახელა და მხოლოდ ინდოური და მამლები, რადგანაც ამ დამფასებელს იმდენათვე გახსნილი აქვს სმენა და ესმის მუზიკა, რამდენათაც ინდოურებს! ეს მტკიცე ჭეშმარიტებაა! იტყვიან: საიდან სადაო, წმიდა საბაო! წარმოიდგინეთ, რომ ეს დამფასებელი არტისტების ხელოვნებისა უცბათ გადადის ინდოურებიდგან ოპერის არტისტებზედ და, რასაკვირველია, აქებს იმათ, რომელნიც გვანან იმას თითონ და იმის მოწონებულს არტისტებს, ე. ი. ინდოურებს!

ამ გვართაგანი რეცენზენტი გამოჩნდა ამ უკანასკნელ დროს გაზეთ „კავკაზში“, რომელმაც ყველა არტისტები აქო ერთის მეტი, რომელიც თავის არტისტიული ხელოვნებით წარმოადგენდა კაცს და არა ინდოურს, მაშასადამე რეცენზენტს არ მოეწონებოდა: კაცს კაცური მოსწონს, ინდოურს ინდოურული და რეცენზენტი ორივეზედ თანახმა არის! მგონია, საჭირო არ უნდა იყოს, რომ ამ რეცენზენტისგან მოხსენებული ქება წარმოვსთქვა, რადგან ყველამ იცის, რომ ქება არის ის, რასაც რაზედმე, ანუ ვიზედმე კარგზედ მეტს იტყვიან. მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ უსამართლო ლაპარაკი, უსაფუძვლო კიცხვა, მიდგომილი სჯა არ არის პატიოსანი კაცის თვისებანი! ჩვენ ამ გვარ ქცევას ვეძახით უზნეობას და უზრდელობას!

ჭეშმარიტება გინდათ, აი მოგახსენებთ ზოგიერთს ოპერის არტისტებზედ:

ბ. რატილი არც სიმღერაში ვარგა (თუმცა რეცენზენტი აქებს), არც სცენაზედ თამაშში! წარმოიდგინეთ უდღეო ციკნის ჩხავილი, როდესაც რატილი ხმას აწევს; ხოლო დაბალი სიმღერის დროს მოიგონებთ მოხუცებულ თხას, როცა იმას დანის ქვეშ წარმოაქცევენ ხოლმე; ორივე შემთხვევაში ურიული კილოთი კნავილი გულს გიწყალებს! მიხვრა-მოხვრა: გინდ გინახავთ გაგორებული არყით გატენილი კოლოტი, გინდ რატილის მიხვრა-მოხვრა სცენაზედ! ეს არის!

ლოდის არტისტიულ მიხვრა-მოხვრასთან (გაიგონოს რეცენზენტმა!) იმისთანა ხმა აქვს, რომ გეგონებათ, ეს არის ეხლა სახრჩობელიდგან გამოქცეულა და ყელიდან თოკი შეუხსნიათ—ისე ხრიალებს!.. სწორეთ ვსთქვა, სცენაზედ სალაპარაკოთ იქნება გამოდგეს იმის ხმა და სიმღერისა კი რა მოგახსენოთ!.. ვისაც ბლადიკი არ გინახავთ და იქნება ვერც ნახოთ, მე გირჩევთ, წაბძანდით ორთაჭალას, იქ დილის 5 საათზედ გაიგონებთ ამ არტისტის ხმას და ნახავთ თამაშობას და სხვ.

უკაცრავათ არ ვიყო, ბ. რეცენზენტო, თქვენთან ლაპარაკმა ჩაჭყაპეს მუცელი აატკივა და ლაპარაკს სწყვეტამს. და თუ ისურვეთ ცნობების შეკრებას თქვენგან ნაქებ არტისტებზედ, ჩაჭყაპე მზათ გახლავთ თქვენის სამსახურისთვის! იქნება უთქვენოთაც დაიწყოს ამაზედ ლაპარაკი, დრომ იცის!.. მხოლოდ არტისტების დაფასებაზედ ფთხილათ იყავით, თორემ ჩაჭყაპე თქვენც იმას გეტყვით, რაც ერთ რეცენზენტს უთხრა:

„რეცენზენტი შუკი
არისო მუტრუკი!“

—

### ახალი ამბები და განცხადებანი.

ბ. შურქ-დე-პარი ორი თვის ყოფნის შემდეგ პარიჟში მშვიდობით და უვნებლათ დაბრუნდა თბილისში.

* * *

ინგლისის მაღაზიაში ძალიან ცოტაღა დარჩა რევოლვერები: ვისაც თავის მოკვლა სურს, ვურჩევთ, დაეშუროს, სანამ სულ არ გაყიდულა.

* * *

„ბზიკის“ კორრესპონდენტი იწერება სეიდაბადიდან: ვიღაც ტანერს უშარხულია ორმოცი დღეო და ლამის ხალხი საკვირველებიდან გამოიყვანოსო! მე უფრო კარგს არ გეტყვითო:

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ეს ორი კვირა მიდის, რაც თითქმის გაუწყნარებლად სწვიმსო. 24 ამ თვეს კი საშინელი ნიაღვრები გაჩნდა წვიმისაგან და ქალაქის ზოგიერთ უბნებში დუქნებისა და სახლების ქვემო ეტაჟები თითქმის სულ გაივსო წყლითაო. ბევრი ზარალიც ყოფილა.

თუ ამ წვიმებმა არ გააფუჭა, წელს იმერეთისაკენ საზოგადოთ ძალიან კარგ მოსავალს მოელიან.

* * *

ქუთაისიდამვე სამდურავს გვწერენ იქაურს აზნაურობის დეპუტატთ კრებაზედ (სობორანიაზედ); ამათ კანცელარიაში თვე და მეტიც ისე გაივლისო, რომ საქმის გარიგება არ მოხერხდება, რადგან დეპუტატები არ დაიარებიანო.

* * *

ამ აგვისტოს პირველ რიცხვებში ოსეთის მხრისაკენ მოგზაურობდა ერთი რუსის პროფესორი ვ. ფ. მილლერი, რომელიც ამ მოგზაურობის დროს აგროვებდა ოსურ ენის და აქაურ ხალხის ზღაპარ-სიტყვაობის შესასწავლებელ მასალას. გაზ. „თერგის უწყებებში“ იწერებიან, რომ პროფესორი მილლერი ამ ჟამად მოსკოვში დაბრუნდა და ბევრი მასალაც წაიღო თან ოსურის ენის შესასწავლებლადაო. ამ საგანზედ ის ცალკე წიგნს აპეჭდვინებს მოსკოვშიო.

* * *

„მშაკს“ სწერენ დერბენდიდამ, რომ ამ მოკლე ხანში იქით ავაზაკებს ორი სომხის ვაჭარი გაუქურდავთ, და ერთი მათგანისათვის 7000 მანეთი მოუპარავთ. იქიდამვე სწერენ, აქაურს თათრებში უკმაყოფილებაა ჩავარდნილი და კაცების კვლაო.

* * *

ამავე გაზეთს შუშიდამ სწერენ, რომ იქით ეხლა პური ფუთი 60 კაპეიკათ იყიდებაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**დუშეთი**, 25 აგვისტოს. იმ დროსა (10-ს—11 ამ თვისას), როდესაც სოფელს მუხრანში საქართველოს ჩინებული გვარის თავადები ესტატე და გიგო ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის-შვილები შესჯახოდნენ ქსნის რიყეზედ ერთმანეთს მამულის მიჯნის თაობაზედ და თავადს გიგოს დაეცა ორჯერ რევოლვერი და ერთხელ თოფი ესტატესთვის; სწორეთ იმ დროს ჩვენს პატარა ქალაქს დუშეთში აღსრულდა ერთი კეთილი და სასარგებლო საქმე, რომელიც ღირსია ყურადღებისა და ცნობისა.

მაგრამ, სანამ ამ კეთილს საქმეზედ მოგახსენებდეთ, ნება მომეცით მოგახსენოთ ჩემი აზრი შესახებ მუხრანიანთ საქმესა.

თუ დავაკვირდებით და განვიხილავთ მოტივებს—საიდამ მომდინარეობს ამისთანა საქმეები ჩვენ ქვეყანაში, უეჭველია, ვიტყვით, რომ ეს არა ახალი-ძველია. ვინ არ იცის როგორ უყვარს ქართველს თავისი მამული, რომლისათვის ან მოჰკლამს ან შეაკვდება და რა მდგომარეობაში არის ხალხი, როდესაც მეზობელი მძლავრობს და ძალობს; ვინ არ იცის—რა ძნელი მოსათმენია კაცისათვის როდესაც ლუკმას ართმევენ პირიდამ. თითონ მადიანათ მიირთმევენ იმ ლუკმას და დაცინებით ეუბნებიან: —წადი, იჩივლე და ისე წაიღე შენი ლუკმაო!? ძალიან კარგი, თუ ამ ლუკმის ძიება თითონ შაუძლიან და თუ არა, ხომ ჩვენს ადვოკატებს უნდა მიმართონ და ესენი არამც თუ იმ ლუკმას დაუბრუნებენ, საკუთარ ტყავსაც აღარ შეარჩენენ და ისე გაანადგურებენ, რომ საწყალი სიკვდილს ნატრობდეს.

ამ გვარ მდგომარეობაში, რასაკვირველია, რომ კაცმა დაჰკარგოს სასოება, იმედი და ენერგია, და კაცი მოკლებული სასოებისა, იმედისა და ენერგიისა, ჰკარგამს ხშირად სრულებით ჭკუა-გონებასაც...

იქნება მიბძანოთ: კაცს „ჭირსა შიგან მართებს გამაგრებაო!“ ეგ მართალია, მაგრამ ჩვენში ისეთი მძლავრები არიან, რომ რკინის მოთმინება რომ ჰქონდეს, იმასაც შეგირყევენ და სასოწარკვეთილობაში ჩაგაგდებენ.

ნუ იფიქრებთ, რომ ამ სიტყვებით ზემოხსენებულ პირთ ან ვამართლებდე, ან ვამტყუნებდე. ჩვენ არ ვიცით, რომელი მათგანი მძლავრობდა, და ძალობდა, მხოლოდ უეჭველია, რომ მიზეზი იმათ დაჯახებისა იყო მამული და ერთს ანუ მეორეს უნდა ეხმარა მძლავრობა და ძალობა. ამას გამოაჩენს საქმე, წინათ ჩვენი ლაპარაკი უალაგო იქნება...

ამ თვის 11-ს დღეს დუშეთში იყო წარმოდგენა სასარგებლო ერთის ყმაწვილის კაცისთვის, რომელსაც დაუსრულებია სწავლა ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაში და არა ჰრგებია სტიპენდია უნივერსიტეტში წასასვლელად. ამისთანა შემთხვევაში საზოგადოებამ უნდა მისცეს ღონის-ძიება, უნდა გამოიჩინოს ქველის-მოქმედება. საზოგადოებისათვის საჭიროა მხოლოდ საქმის დამწყობი, რომელსაც უეჭველია მისცემენ ბანსა სხვანიცა. დამწყობი ამ საქმისა იყო ერთი დუშეთში მცხოვრებელ ქალ-თაგანი, სახელდობ თამარი ჭავლიევისა, რომელმაც სთხოვა ქართულის თეატრის აქტრისას ნატალია გაბუნიასა მიელო მონაწილეობა, და გაბუნიასამ პატივი ჰსცა ამათ თხოვნას და მოვიდა დუშეთში.

წარმოდგენა თანა-დასწრებით ამისთანა აქტრისისა, რასაკვირველია, სასიამოვნო იყო ყველასთვის. ითამაშეს „ბიძიასთან გამოხუმრება“. გარდა

---

მთელი ქალაქი გორი, დიდი და პატარა აგერ სამოც დღეს მიაწევს, რაც მარხულობენო! ერთი თვის წინეთ ვიყავი იქაურ სასტუმროში და ვერც პური და ვერც ხორცი ვიშოვეო: მეუბნებიან, არ არისო, ეხლა ვიყავიო და ეხლაც ეს მითხრესო. ჭეშმარიტათ ძალიან გასაკვირველს ვაროო ამბობს კორრესპონდენტი.

* * *

პავლოვსკის ცოლის ავათმყოფობის გამო კვირას ოპერაში მის როლს აასრულებს არტისტკა „ბული-ბული.“

—

დაფიქრდით! წარმოიდგინეთ! გაიკვირვეთ!

ერთი კნეინა კარეტაში იჯდა და ხელში გაშლილი ქოლგა ეჭირა!!.

* * *

„ობზორის“ ფელეტონი 39 აგვისტოს

—

გაიწიეს ჩვენმა ახალგაზდებმა, მიჰყვეს დუელებს ხელი! განზედ! ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჩვენც გზა დაგვილოცია! ჰკლიტონ ერთმანერთი, მაინც არაფერში გამოსადეგნი არ არიან! მაგრამ ამ ცოდვის შვილებს სიკვდილისაც რომ ეშინიათ და მამლაყინწებივით ტყუილათ ფართფატობენ! აი შეგირცხვათ ვაჟ-კაცობა! ბრძოლის ველზედ გაიდე და არც მე ვივნო და არც სხვას ვავნო?! ვაი თქვენი ბრალი. თქვე უბედურებო!

ქალები უყვართ და დუელებშიაც გადიან! ბიჭები არიან და დიდის გაზრდილები! ამ მოქმედებით უნდათ სახელი გაიგდონ, ის კი არ იციან, რომ მათი გმირობა არის: ნაცარქექიობა, ტყუილი ყვირილი, ჭკუის და ხორცის სისუსტე, დამცირებული ამაყობა, მხდალური ბრძოლა, პირუტყვული გატაცება, კაცობის დავიწყება, სილაჩრე ხასიათისა!..

მერე როგორი ხალხი გადის დუელში?—უზნეონი, უხასიეთოები, ზარმაცები, ჰაზრ დაკარგულები, კაცობას მოკლებულნი, ცრუ-მამაცები, ცრუ-არშიყები, უსაქმოები, უზრუნველები, სულით დაცემულები, რომელთაც ყველა სიკეთე (ჭკუის გარდა) აქვთ ამ ქვეყანაში, არაფერი არ აკლიათ კეთილ-ცხოვრებისათვის, ოხერი საცხოვრებლით ყელამდინ სავსენი არიან, რომელთაც სურვილის შესრულების გარდა არავითარი ჰაზრი და გრძნობა არა აქვთ თავში, უსაქმოობის გამო თავი მოსძულებიათ, არ იციან, რა გზას დაადგნენ, რითი აცნობონ ქვეყანას თავი!! ქალების გულისთვის დუელში გასვლით რაღა? ძალიან კარგი! კაცი კაცურს ღონისძიებას მიმართავს, მხეცი მხეცურს! შენი ამღვრეული სისხლის და გაშფოთებული გულის (იცოდეთ, ქალების გულისათვის) დასამშვიდებლად მხეცური ღონისძიება უნდა იხმარო რაღა?! დაუდგე შენს მოპირდაპირეს გატენილის დამბაჩით, თვალით ასწონო, გახადო და გახდე მახვერპლი თოფის წამლისა, რომლითაც ჩვენ მარტო მხეცებს ვიგერებთ, რომელთთანაც კაცური ლაპარაკი არ გამოდგება!! რითი ვანირჩევით მხეცებისგან, რომელნიც ერთმანერთს განრისხებულები მისცვივიან და დასჭამენ?! იმათ დასაკმაყოფილებელი სხვა იარაღი არა აქვთ რა და უნდა ერთმანერთი დასჭამონ! თქვენ?—ბუნებას მოუცია გონება, ჰაზრი, მსჯელობა, აზრების გამოსახატავათ სიტყვები და იარაღათ—ენა, რომლითაც დაკოდილი კაცი ათასჯერ უარეს ტკივილს სიმწარეს გრძნობს, ვიდრე თოფით და სხვა იარაღით დაჭრილი!...

მაგრამ რა გავაჭიანურო, ან რათ შევსწუხდე ლაპარაკით! ვისაც ყველა ეს გაეგება და არც უნდა გაგება, იმას გინდ მთელი ქვეყნის ფილოსოფოსები დაუყენე წინ, რომ აუხსნან კაცობრიობა და იმის მნიშვნელობა, მაინც კიდევ არა გამოვა-რა!..

მაგრამ ვის რა დავი აქვს, კაცია და გუნება! ყველას თავის მიდრეკილება აქვს! მართლაც რომ დავი არა მაქვს, თუ გინდათ იმასაც გასწავლით, სადაც ჰყიდიან კარგ რევოლვერებს!.. მაინც-და-მაინც ქალის გულისთვის დუელში გასვლა დიდ სირცხვილადა და კაცობის დამცირებათ მიმაჩნია! რჯულის გულისთვის; ენისა და მამულის დასაცველად კიდევ ჰო! ისიც უკანასკნელი გაჭირების დროს!..

* * *

არც ეგრე უნდა ლაპარაკი, გეტყობა, შენ არ გამოგიცდია სიყვარული! იცი მერე იმათ ვინ უყვართ? დაშა. მაშა, სონა! მაშ!.. როგორ უნდა დაანებოს სონა სხვას? სირცხვილი არ არის, ერთს უყვარდეს და მეორე ეცილებოდეს?! ოჰ, ღმერთო მომკალ! მოდი და დუელში ნუ გახვალ?!

ხომ გაგიგონიათ: „არავის არ შეუძლიან ორ მეუფეს ემსახუროს!“ მაშ რაღაზედ იხეთქავთ თავებს?! არ შეიძლება, რომ ორივენი ერთნაირად უყვარდეთ; რაც უნდა იყოს ერთი თქვენგანი უფრო უყვარება! მაშ დარჩეს უკანასკნელი! მე კი რომ მკითხოთ, თქვენი სონას გულისთვის არამც თუ დუელში არ გავალ, ერთ ჭიქა შარბათსაც არ დავლევ!..

—დიახ, შენ ეგრე იტყვი, გეტყობა სონას არ იცნობ?!

—ვიცნობ. ვიცნობ, ჩემო ლაზარე! შენს თვალებში ის არის საროს ტანი, ლერწამ-ტანი, წასატანი მშვენიერი ცხვირ-პირის პატრონი,, ნაზი, კეკლუცი, შავ-თვალ-წარბა, საყვარელი, სასურველი და სხვ. ჩემ თვალებში კი: ბაირაღივით აწოწილი, ღლუას ტირიფივით გამხმარი, ხატაური კატის ჭრელი თვალებით, ლობიოს ცეცხვის ტოლა პირის სახე, მისუსტებული, მიკნავებული, უსულო, უგულო, გაიძვერა, თვალთ-მაქცი, არშიყობას დაჩვეული და სუყველაფერი!.. ახლა ისიც ხომ იცი, ჩემო ლაზარე, რომ შენს გარდა სხვაც უყვარს? იმას წერილიც მისწერა შენმა სონამ და კორწილს ღვინობისთვეში ეპირებიან!!

—ტყუილია, ტყუილია! სონამ წერილი მე მომწერა და კორწილი ენკენისთვეში დამინიშნა!

—შენც მოგწერა?! მაშ ორივესთვის მოუწერია? დაგიდგა თვალი, ჩემო ლაზარე! ნახე შენი სონა რა ოინბაზი ყოფილა?! ახია შენზედ, ყურს რად უგდებ ქალის თვალთ-მაქცობას? თითქო მარტო შენ უყვარდი? ხედამ, სხვისთვისაც პირობა მიუცია?!

თქვენ კი, თქვე ცოდვის-შვილებო, ერთმანერთს ქლეტავთ!! სადა სამართალია, ორივეს სონა უნდა გამოგეთხოვათ დუელში, რომ ორივეს გატყუებთ და ცხვირით გატარებთ! ვაი სირცხვილო და ნამუსო! დამცირება, დედა-კაცისგან ეს შერცხვენა?!. მაგრამ ეხლა გვიან-ღა არის! ეგრე პირდაპირ დარჩით ორივე, ის ორივეს გატყუებთ!—მოგივიდათ ჭკუის საქმე თუ არა?.. ეხლა ღირსნი ხართ და თქვენზედ ახია თითო ლაყე საზამთრო დაგახალონ ორივეს თავზედ! ნახეთ სონა?!..

რედაქტორი და გამომცემელი
ჩაჩუაშვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისა ნატალია ზაზუნიასამ იმღერა რამდენიმე ქართული სიმღერა და ოთხმა გიმნაზიაში მოსწავლემ დაუკრეს ფიანურზედ რამდენიმე პიესები.—

ზაზუნის თამაშობასა და სიმღერასა ქება არ უნდა: ამათი ღირსება „დროების“ მკითხველთა ცნობილია; განმეორება უადგილო არის; მხოლოდ ვიტყვით, რომ თავის აქ მოსვლით საზოგადოებას დიდათ დაამადლა. დანარჩენ პირთა ითამაშეს საკმაოდ კარგათ და იმათ რიცხვში არიან ისეთი ნიჭნი, რომელთაც ქართულ თეატრშიაც ადგილი აქვსთ. წარმოდგენა იყო თვით თ. ქავლიევის სახლში; რამდენი ფული შეჰსდგა არ ვიცი; ამბობენ, ვითომც 150 მანეთამდინაო. ზალა მაყურებლებით იყო სავსე.

პატივ-ცემულმა თამარა ქავლიევისამ საქმით დაამტკიცა, რომ ჩვენი ქალებიც ილტვიან კეთილ-გონივრულ ცხოვრებისადმი არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. ამათ საქმეს ქება არ უნდა.

იმედი გვექნება, რომ ამისთანა საქმეზედ ჩვენს საზოგადოებას ყოველთვის ექნება ყურადღება, რადგანაც მრავალნი არიან ჩვენში ღარიბნი, რომელთაც არა აქვსთ შეძლება მიიღონ განათლება მაღალ სასწავლებელში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ როდესაც ჩვენ ქვეყანაში შემოვა განათლება, მაშინ ისეთი ერთი ერთმანეთის დაჯახებას და სისხლის ღვრასა ადგილი არ ექნება, როგორიც მოიხდინეს თ. თ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის-შვილებმა.

ა. ბ.

---

# განცხადებანი

ქინაქინის ღვინო ციებისათვის, ატკინსონის საყნოსველი წყალი და სხვანი იყიდება **ნამდვილს ინგლისის მაღაზიაში.**

(12—1)

---

**სიღნაღის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა მობძანდნენ 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაკურ-ციხეს, საკუთარ სახლში, თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად.**

(10—9)

---

რეალური სასწავლებლის უფროსი კლასის **შეგირდს** ჰსურს აძლიოს **გაკვეთილები** (განსაკუთრებით მათემატიკის) და ბინა იქვე ჰქონდეს.

ადრესი: „დროება“ - „ივერიის“ რედაქცია.

(5—4)

---

ქ. გორში გაიდო

# მარიამ კერესელიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკლესიის მახლობლათ, სადაც იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

**Въ Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.**

(12—2)

---

ვოდკის დეპო

გლადიკავკაზის სავაჭრო ქარხნისა

# შაუ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25 კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმენდელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მივაქცევთ ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკის სახლში.

(8—5)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIENNES*'-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივ ცემულს საზოგადოებას, ვიმედოულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აველჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ექიმებისაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,



# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარშინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარშინსკი.

(25—22)

---

ახლად გაღებული

# ზ. ჭიჭინაძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში. № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლიათ წიგნების დაბარება.

**Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2.**

(5—5)

---

**მომავალი წლის პირველი იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი**

# „მიმოხილვა“

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარ წლით ოთხი-და-ათი მაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანის და ამს წიგნის მაღაზიაში და არწრუნის ქარვასლაში ბიბლიოთეკა №115.

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани.**

რედაქტორი **ნინა გაბაშვილი.**

(6—6)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურქელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—19)

---

**მიიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-და-პირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—9)

---

„დროების“ ფოსტა

— ქ—ს, ა. ლ—ს. თქვენის ერთობ გაჭიანურებულის კორრესპონდენციიდამ მხოლოთ რამდენიმე სტრიქონი გამოგვადგა „ახალ ამბებისათვის“.

— ხ—ს, ი. ი—ს. საგანი სტატიისა ჩინებულია; საუბედუროთ, ენის უცოდინარება ერთობ გაბრკოლებსთ თქვენის აზრების გარკვევით გამოთქმაში.

— ს—ს, ა. კ—ს. კიდევ მღვდლებზე! და არც არაფერი ახალი! ვერ დავბეჭდავთ.

— ხ—ს, ი. გ—ძეს. თქვენი გრძელი შენიშნვა ცარიელი სიტყვების რახა-რუხია და ფრაზები. არ დაიბეჭდება.

— ქ—ში, **-ს. თქვენი წერილი დღევანდელ ნომერში მხოლოთ ადგილის უქონლობის გამო ვერ დაიბეჭდება.

Дозволено цензурою: Гифлисъ 30 Августа 1880 г. Типографя Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი